## Katholieke Universiteit Leuven

The Katholieke Universiteit Leuven (K.U.Leuven), Belgium, was founded in 1425. Throughout its six centuries of existence, the K.U.L has attracted students and academic staff from all parts of the world. Composed of 14 faculties, K.U.L is also a cosmopolitan and multicultural university with 12% of its student coming from countries outside Belgium.

## University Symphony Orchestra of the K.U.Leuven

The University Symphony Orchestra (USO) of the Katholieke Universiteit Leuven is a well established organization founded in 1962. Since, the USO has rapidly grown to a full-fledged symphony orchestra presently composed of more than 70 musicians.

Today, the orchestra performs under its present conductor, Edmond Saveniers. He has done concert tours with this group in Hungary, Denmark, France, England, Czech Republic, Italy, Holland and Germany. Mr Saveniers graduated from the Lemmens Institute of Music, Leuven, specializing in organ and music education and earned the Lemmens-Tinel prize for virtuosity – organ and composition. He received the first Prize for Orchestra conducting and the Higher diploma for Orchestra conducting at the Flemish Music conservatory of Antwerp.

## ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი

ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი ბელგიის ქალაქ ლუვენში 1425 წელს დაარსდა. ექვსსაუკუნოვანი ტრადიციის წყალობით უნივერსიტეტმა არაერთი სტუდენტისა და პროფესორის მოზიდვა შეძლო მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. 14 ფაკულტეტისგან შემდგარ უნივერსიტეტში კოსმოპოლიტური და კულტურულად მრავალფეროვანი გარემოა, სადაც სტუდენტთა 12% უცხოელია.

## ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრი

ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრი 1962 წელს დაარსდა და წლების განმავლობაში სრულფასოვან სიმფონიურ ორკესტრად ჩამოყალიბდა. დღეისათვის ორკესტრი 70–ზე მეტი სტუდენტისგან შედგება.

ამჟამად ორკესტრს ხელმძღვანელობს დირიჟორი ედმონ სავენიე. ორკესტრის დღევანდელ შემადგენლობასთან ერთად მან ჩაატარა ტურნეები უნგრეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, იტალიაში, ჰოლანდიასა და გერმანიაში. ბატონ სავენიეს დამთავრებული აქვს ლუვენის ლემენსის სახელობის მუსიკალური ინსტიტუტი ორგანის და მუსიკალური განათლების განხრით და მოპოვებული აქვს ლემენს–ტინელის პრემია ვირტუოზობისთვის ორგანის და კომპოზიციის სფეროში. ედმონ სავენიეს მიენიჭა უმაღლესი რანგის დიპლომი დირიჟორობისთვის ანტვერპენის ფლამანდიურ კონსერვატორიაში.



## Givi Nasaridze

Givi Nasaridze (violin) is a student at the Sarajishvili State Conservatory with Professor E. Arakelov. He began his violin studies at the Z. Paliashvili N1 Central Music School. In 1999, 2003 and 2007 Givi Nasaridze won various youth music competitions. Mr Nasaridze has performed with different conductors and artists from Georgia, Armenia and the European Union. In 2008 Givi Nasaridze played in the Florence Youth Orchestra 'Jovanile Italiana'. In 2009 he played with the Georgian-Italian Orchestra in various cities in Italy and in the Spoleto Festival. Both events were financed by the Vatican.

## გივი ნასარიძე

გივი ნასარიძე (ვიოლინო) სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მაგისტრატურის სტუდენტია, პროფესორ ე. არაქელოვის კლასში. ვიოლინოს ხელოვნებას გივი ნასარიძე ზ.ფალიაშვილის სახელობის №1 ცენტრალურ მუსიკალური სკოლაში დაეუფლა. 1999, 2003 და 2007 წლებში გივი ნასარიძე სხვადასხვა ახალგაზრდული მუსიკალური კონკურსების ლაურეატი გახდა. მას არა–ერთ დირიჟორსა თუ შემსრულებელთან უმუშავია საქართველოში, სომხეთში და ევროკავშირის ქვეყნებში. 2008 წელს გივი ნასარიძე ფლორენციის ორკესტრ „ჯოვანილე იტალიანასთან" ერთად გამოდიოდა. 2009 წელს, ვატიკანის დაფინანსებით ქართულ–იტალიურ ორკესტთან ერთად გივი ნასარიძემ მონაწილეობა მიიღო იტალიის სხვადასხვა ქალაქში გამართულ კონცერტებში და სპოლეტოს ფესტივალში.

## Programme

### პროგრამა

| | | |
|---|---|---|
| August De Boeck | – | ***Rhapsodie Dahoméenne*** |
| Alexi Matchavariani | – | ***Concerto for violin and symphony orchestra*** |
| *Soloist* | – | *Mr. Givi Nasaridze, violin* |
| Alexander Borodin | – | ***Symphony no. 2*** |
| ოგუსტ დე ბუკი | – | ***დაგომეური რაფსოდია*** |
| ალექსი მაჭავარიანი | – | ***კონცერტი ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის*** |
| *სოლისტი* | – | *გივი ნასარიძე, ვიოლინო* |
| ალექსანდრე ბოროდინი | – | ***სიმფონია №2*** |







# University Symphony Orchestra of the K.U.Leuven

# ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრი




თბილისი
TBILISI

5 ნოემბერი
NOVEMBER

## Delegation of the European Union - 15 years in Georgia

The Delegation of the European Union to Georgia – known until the entry into force of the Lisbon Treaty on 1 December 2009 as the Delegation of the European Commission – was opened in the centre of Tbilisi in 1995. Over these years, the Delegation has grown into a 50-strong diplomatic mission officially representing the European Union in Georgia. The Delegation presents, explains and implements European Union (EU) policy; it analyses and reports on policies and developments in Georgia, and holds negotiations in accordance with a given mandate.

## The Delegation's mandate

The Delegation's main tasks can be described under three headings: Political relations, Economic and Trade relations, and Co-operation and External assistance. In carrying out its work, the Delegation aims at maintaining and developing good and effective contacts with its partners in the government and civil society, as well as with EU Member States and international organisations.

## EU Assistance to Georgia

In 1992-2007, the EU provided assistance to Georgia to the value of € 530.8 million. Following the August 2008 war, the European Commission pledged up to € 500 million for the period 2008-2010 to mitigate the effects of the war. The bulk of this funding is directed towards infrastructure and economic stabilization to help Internally Displaced People from the recent conflict as well as the earlier conflicts of the 1990s. In April 2010, the EU allocated €180 million to Georgia for 2011-2013 to support democratic development, rule of law, good governance; trade and investment, regulatory alignment and reform; regional development, sustainable economic and social development, poverty reduction as well as peaceful settlement of conflicts.



## The EU & Georgia - Political and Legal Framework

Since 1999, the EU has a Partnership and Cooperation Agreement with Georgia, providing for close political relations as well as economic, social, financial and cultural cooperation. In November 2006, the European Neighbourhood Policy Action Plan for Georgia was adopted with the aim of sharing the EU's stability, security and prosperity with the neighbouring countries. The launching of the Eastern Partnership in May 2009 further strengthened the relationship between the EU and Georgia, opening the prospect of Association Agreements, more people to people contacts and further integration of Georgia with European structures.

## ევროკავშირის წარმომადგენლობა - 15 წელი საქართველოში

საქართველოში დღეს მოქმედი ევროკავშირის წარმომადგენლობა 1995 წელს გაიხსნა. 2009 წლის დეკემბერში ლისაბონის შეთანხმების ძალაში შესვლამდე მას ევროკომისიის წარმომადგენლობის სახელით იცნობდნენ. დღეს ევროკავშირი წარმომადგენლობა, სადაც 50–ზე მეტი თანამშრომელი მუშაობს, სრულფასოვანი დიპლომატიური მისიაა, რომელიც ოფიციალურად წარმოადგენს ევროკავშირს საქართველოში. გარდა ამისა, მისია განმარტავს და ახორციელებს ევროკავშირის პოლიტიკას. ევროკავშირის წარმომადგენლობა აანალიზებს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკას და მოვლენებს, ამზადებს ანგარიშებს და აწარმოებს მოლაპარაკებებს მინიჭებული მანდატის ფარგლებში.

## ევროკავშირის წარმომადგენლობის უფლებამოსილება

ევროკავშირის წარმომადგენლობის ძირითადი საქმიანობა სამ ძირითად სფეროდ შეიძლება დაიყოს, ესენია: პოლიტიკური ურთიერთობები, ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები და თანამშრომლობა და საგარეო დახმარება. მთელი ამ საქმიანობის წარმართვისას ევროკავშირი ცდილობს, დაამყაროს და შეიანრჩუნოს კარგი და საქმიანი ურთიერთობები თავის პარტნიორებთან მთავრობაში, სამოქალაქო საზოგადოებაში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

## ევროკავშირის დახმარება საქართველოსთვის

1992-2007 წლებში საქართველოს დასახმარებლად ევროკავშირმა 530.8 მილიონ ევრო გამოყო. 2008 წლის ომის შედეგების შესამსუბუქებლად ევროკავშირმა საქართველოს დამატებით 500 მლნ ევრო გამოუყო 2008–2010 წლებისთვის. ამ დაფინანსების დიდი ნაწილი ხმარდება ინფრასტრუქტურას და ეკონომიკურ სტაბილიზაციას იმ იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად, რომლებიც დაზარალდნენ როგორც 2008 წლის, ისე 90–იანი წლების კონფლიქტების შედეგად. 2011–2013 წლებისთვის ევროკავშირმა საქართველოსთვის 180 მილიონი ევრო გამოყო დემოკრატიული განვითარების, კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ვაჭრობის და ინვესტიციების, მარეგულირებელი რეფორმის, რეგიონული განვითარების, მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების, სიღარიბის დაძლევის და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მხარდასაჭერად.

## ევროკავშირი და საქართველო - პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩო

ევროკავშირსა და საქართველოს შორის 1999 წლიდან მოქმედებს „შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“. ეს შეთანხმება მხარეებს შორის მჭიდრო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ფინანსურ და კულტურულ თანამშრომლობას უზრუნველყოფს. 2006 წლის ნოემბერში მიღებულ იქნა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა“ საქართველოსთვის, რომლის მიზანია ევროკავშირში არსებული სტაბილურობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის გაზიარება მეზობელი ქვეყნებისთვის. 2009 წლის მაისში ევროკავშირის ინიციატივით მიღებულმა „აღმოსავლეთ პარტნიორობამ“ განამტკიცა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობები; გაჩნდა ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმების პერსპექტივა, შეიქმნა საფუძველი ადამიანებს შორის უფრო მჭიდრო კონტაქტებისა და საქართველოს უფრო მჭიდრო ინტეგრირებისა ევროპულ სტუქტურებში.

# DELEGATION OF THE EUROPEAN UNION

# 15 years in Georgia

# ევროკავშირის წარმომადგენლობა

# 15 წელი საქართველოში



თბილისი
TBILISI

5 ნოემბერი
NOVEMBER